ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 3

ქალაქი ბათუმი

12 ოქტომბერი, 2018 წელი (17 : 30 სთ)

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. ნინო ინაიშვილი - საზოგადოება ,,ბათომის'' დამფუძნებელი და გამგეობის თავ - მჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმღვანელი.
2. თამაზ თურმანიძე - შპს ,,რუსული რეგისტრი ვესტჯორჯია''-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. მაყვალა კვირიკაძე - შპს ,,მაკო''-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
4. ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულ - ტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
5. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
6. თემურ კაკაბაძე - ,,ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის'' დამფუძნებელი და თავმჯდომარე ;
7. მარიამ ბურკენაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენ- ტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი;
8. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 8, არ ესწრებოდა 3.

ასევე სხდომას ესწრებოდა 3 სტუმარი - თენგიზ კახიძე - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატი ; თეა ჯანჯღავა - ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ; ლაშა ლორთქიფანიძე - ბიზნესმენი ; შპს ,,კერა'' დირექტორი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმანიძე.

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: -

დღის წესრიგი - N 3 (12 ოქტომბერი - 2018 წ / 17:30 სთ)

საკითხი 1. *- ინფორმაცია საბჭოს მიერ მერიაში წარდგენილი წერილებისა და რეკომენ-დაციების თაობაზე.*

მომხსენებელი: კახაბერ გუჩმანიძე (10 წთ)

საკითხი 2. *- ინფორმაცია ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესების კუთხით არსებულ ხარვეზებზე, გასატარებელი ღონისძიებები და რეკომენდაციები.*

მომხსენებელი : თემურ კაკაბაძე (5 წთ)

საკითხი 3. *- გარე ვაჭრობის კუთხით არსებული მდგომარეობა და გადაჭრის გზები.*

მომხსენებელი : მაყვალა კვირიკაძე (5 წთ)

საკითხი 4. *- საბჭოს მედიასთან კომუნიკაციის საკითხი. (წერილის პროექტი)*

მომხსენებელი: კახაბერ გუჩმანიძე (5 წთ)

საკითხი 5. *- საბჭოს უახლოესი 3 თვის სამუშაო გეგმა - გრაფიკის პროექტის წარდგენა.*

მომხსენებელი: კახაბერ გუჩმანიძე (5 წთ)

საკითხი 6. *– ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (2018 - 2020) - სამუშაო ვერსიის პრეზენტაცია - განხილვა.*

მომხსენებელი : ეთერ ლომაძე - ქ.ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი (20 წთ)

კითხვა - პასუხი : 30 წთ.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის დამსწრე წევრებს აცნობა, რომ ქ.ბათუმის მუნი - ციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსმა - ეთერ ლომაძემ სხდომის დღეს (12 ოქტომბერს - დილით) ელ.ფოსტის საშუალებით თხოვა და აცნობა საბჭოს წევრებს დღის წესრიგიდან მის მიერ წარსადგენი საკითხის ამოღების თაობაზე, საბჭოს თავ-მჯდომარისთვის მიუღებელი არგუმენტების მოშველიებით.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს თანხმობა დღის წესრიგიდან მე-6 საკითხის ამოღების თაობა-ზე, დამატებით მოითხოვეს აღნიშნული საკითხის შემდეგ სხდომაზე განხილვა და დღის წეს-რიგში შეტანა, ასევე გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება და აღნიშნეს (სხდომის თავმჯდო-

მარემ და სხვა წევრებმა), რომ მსგავსი დამოკიდებულება სამომავლოდ ცუდად აისახება საბჭოსა და მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის კოლეგიალურ და კონსტრუქციულ ურთიერთობაზე. (მითუმეტეს საკითხის საბჭოს სხდომაზე გატანის ერთერთი თანაინიციატორიც მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური იყო)

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა წამოყენებულ საკითხს და დღის წესრიგის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საკითხი მიმდინარე სხდომის დღის წესრიგიდან იქნა ამოღებული.

შემდგომ ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

საკითხი 1. - ინფორმაცია საბჭოს მიერ მერიაში წარდგენილი წერილებისა და რეკომენდაციების თაობაზე. მომხსენებელი: კახაბერ გუჩმანიძე (10 წთ)

სხდომის თავმჯდომარემ - კახაბერ გუჩმანიძემ თავის გამოსვლაში საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს სიტყვიერი მოხსენებით წარუდგინა ინფორმაცია საბჭოს მხრიდან მერიაში გაგზავნილი კორესპონდენციების თაობაზე და მიაწოდა კონკრეტული ინფორმაციები მოთხოვნილი მასალების მოწოდების მიმდინარეობისა და რეკომენდაციების თაობაზე.

საკითხი 2. - ინფორმაცია ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესების კუთხით არსებულ ხარვეზებზე, გასატარებელი ღონისძიებები და რეკომენდაციები. მომხსენებელი : თემურ კაკაბაძე (5 წთ)

თემურ კაკაბაძემ სხდომას წარუდგინა პრეზენტაცია (ფოტომასალითა და ვიდეორგოლით) ქ.ბათუმში ადაპტირებული გარემოს კუთხით არსებულ მდგომარეობაზე - ერთი უბნის მაგალითზე, ასევე განმარტა არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები და წარმოადგინა საკუთარი ხედვა გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრები - ზურაბ ჩიხლაძე, ნინო ინაიშვილი და თამაზ თურმანიძე აქტიურად ჩაებნენ წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ პოლემიკაში, დაისვა შეკითხვები. საბჭომ მსჯელობის შემდეგ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ცნობად იქნეს მიღებული საბჭოს წევრის თემურ კაკაბაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს შემდეგ სხდომაზე უზრუნველყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მოწვევა არსებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისა და ინფორმაციის მოსმენის მიზნით. (შეკითხვების ნაწილი და სასაუბრო თემატიკის ძირითადი მონახაზი ეცნობებათ წინასწარ)

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა საკითხს.

მერის სახელზე შესაბამისი წერილის მომზადება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

საკითხი 3. - გარე ვაჭრობის კუთხით არსებული მდგომარეობა და გადაჭრის გზები.

მომხსენებელი : მაყვალა კვირიკაძე (5 წთ)

მაყვალა კვირიკაძემ თავის გამოსვლაში სიტყვიერი მოხსენებით სხდომას წარუდგინა ქ.ბათუმში გარე ვაჭრობის კუთხით არსებული სიტუაცია, ასევე თავის მრავალწლოვან პრაქ - ტიკაზე დაყრდნობით წარმოადგინა ხედვა არსებული პრობლემების დაძლევის კუთხით.

საბჭოს წევრები - ნინო ინაიშვილი, ზურაბ ჩიხლაძე, გურამ ფუტკარაძე, თემურ კაკაბაძე და თამაზ თურმანიძე აქტიურად ჩაებნენ პოლემიკაში, დაისვა შეკითხვებიც. საბჭომ მსჯელობის შემდეგ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ცნობად იქნეს მიღებული საბჭოს წევრის მაყვალა კვირიკაძის ინფორმაცია გარე ვაჭრობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, ასევე ეთხოვოს ქ. ბათუმის მერიას - ე. წ. 23 სკოლის მიმდებარეთ არსებულ გარე მოვაჭრეებს შესაბამისი სამსახურების მხრიდან აეკრძალოთ უსისტემოთ ვაჭრობა და კიდევ ერთხელ ეთხოვოთ შიდა პერიმეტრზე შესვლა (რაც არაერთხელ იქნა შეთავაზებული), ხოლო აღსრულების კუთხით ყველა სახის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად მეტი პრინციპულობა იქნეს გამოჩენილი.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა საკითხს.

მერის სახელზე შესაბამისი წერილის მომზადება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

საკითხი 4. - საბჭოს მედიასთან კომუნიკაციის საკითხი. (წერილის პროექტი)

მომხსენებელი: კახაბერ გუჩმანიძე (5 წთ)

სხდომის თავმჯდომარემ - კახაბერ გუჩმანიძემ თავის გამოსვლაში საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს წარუდგინა წერილის პროექტი ქ.ბათუმის მერის სახელზე საბჭოს მედიასთან კომუნიკაციის გააქტიურების თაობაზე. (წინა სხდომის თანახმად - ოქმი #2)

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა წერილის გაგზავნას ქ.ბათუმის მერთან.

საკითხი 5. - საბჭოს უახლოესი 3 თვის სამუშაო გეგმა - გრაფიკის პროექტის წარდგენა.

მომხსენებელი: კახაბერ გუჩმანიძე (5 წთ)

სხდომის თავმჯდომარემ - კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს წარუდგინა უახლოესი 2 თვის სამუშაო გეგმა-გრაფიკი გაწერილი ნოემბერ - დეკემბრისთვის. საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა თითოეულ წევრს ელექტრონულად დაეგზავნოს წარმოდგენილი სამუშაო გეგმა-გრაფიკი - უფრო დეტალურად გაცნობის, განხილვისა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირების მიზნით. აღინიშნა, რომ პერიოდზე და ვადებზე მეტი კონკრეტიკაა გასაკეთებელი.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა საკითხს.

საკითხზე პასუხისმგებლობა ეთხოვა - კახაბერ გუჩმანიძეს.

საბჭოზე ასევე იმსჯელეს სხვადასხვა მიმდინარე დღის წესრიგით გაუთვალისწინებელ საკითხებზეც :

ზურაბ ჩიხლაძემ ისაუბრა ქალაქში ღამის საათებში ფოიერვერკების უსისტემო გასროლებზე, რაც უარყოფითად აისახება ზოგადად ქალაქის იმიჯზეც. ზურაბ ჩიხლაძემ წამოაყენა ინიციატივა შემდეგ სხდომაზე მოიწვიონ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები, რომლებსაც საბჭოს წევრები დაუსვამენ შეკითხვებს სხვადასხვა კუთხით გატარებულ სასანქციო ღონისძიებებზე და სხვა მიმდინარე საკითხებზე. ზურაბ ჩიხლაძის ინიციატივა დადგა კენჭისყრაზე :

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი ზურაბ ჩიხლაძის ინიციატივას.

მერის სახელზე შესაბამისი წერილის მომზადება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

ზურაბ ჩიხლაძე ასევე შეეხო და ისაუბრა ქ.ბათუმში სატრანსპორტო და პარკირების კუთხით არსებულ სიტუაციაზე და განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი პრობლემატურია და ეფექ - ტური გადაჭრის გზებს საჭიროებს. ზურაბ ჩიხლაძემ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება სამარ- შუტო ტაქსების მხრიდან სატრანსპორტო საცობების განტვირთვის კუთხით და აღნიშნა, რომ უახლოეს სხდომაზე სიტყვიერათ წარმოადგენს თავის მოსაზრებებს არსებული პრობლემის გადაჭრის კუთხით.

ზურაბ ჩიხლაძემ დააყენა საკითხი საბჭოს უახლოეს სხდომაზე მოიწვიონ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შპს ,,ავტოტრანსპორტისა'' და მერიის სატრანსპორტო განყოფილების ხელმძღვანელები რომლებსაც საბჭოს წევრები სხდომაზე დაუსვამენ მათვის აქტუალურ კითხვებს და ესაუბრებიან სამსახურების წინაშე არსებულ გამოწვევებზე. (შეკითხვების ნაწილი და სასაუბრო თემატიკის ძირითადი მონახაზი ეცნობებათ წინასწარ)

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი ზურაბ ჩიხლაძის ინიციატივას.

მერის სახელზე შესაბამისი წერილის მომზადება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

თამაზ თურმანიძემ დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ შემდეგ სხდომაზე განმეორებით ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს უზრუნველყოს მისდამი რწმუნებული მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის ხელმძღვანელობის მხრიდან ,,ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (2018 - 2020)'' - სამუშაო ვერსიის პრეზენტაცია

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა საკითხს.

მერის სახელზე შესაბამისი წერილის მომზადება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

თამაზ თურმანიძემ ასევე გამოთქვა ინიციატივა საბჭოს მხრიდან ქალაქში მიმდინარე სხვა- დასხვა კეთილმოწყობით სამუშაოებზე განხორციელდეს მონიტორინგი და გასვლები.

თამაზ თურმანიძემ ასევე წამოაყენა წინადადება და იმსჯელა უსაფრთხოების სტანდარტების თაობაზე და საბჭოს დაპირდა ამ კუთხით (ლიფტების უსაფრთხოება და სხვა) შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენასა და სერთიფიცირებული ექსპერტების ჩართვას.

ასევე თამაზ თურმანიძემ დააყენა საკითხი - მაღლივ კორპუსებში (საცხოვრებელი სახლები) სახანძრო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის თაობაზე.

თამაზ თურმანიძემ წამოაყენა ინიციატივა შემდეგ სხდომაზე მოიწვიონ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის - ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს - ხელმძღვანელი პირები საკითხის ირგვლის (სალიფტო და სახნძრო უსაფრთხოება და სხვა) კითხვების დასმის მიზნით. (შეკითხვების ნაწილი და სასაუბრო თემატიკის ძირითადი მონახაზი ეცნობებათ წინასწარ)

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა საკითხს.

მერის სახელზე შესაბამისი წერილის მომზადება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა მრჩეველთა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს თხოვნით - დამატებით მოუსმინონ მის მიერ ინიცირებულ წინადადებებს ხოლო განხილვისა და მოწონების შემთხვევაში კენჭი უყარონ წერილობით წარმოდგენილი ინიციატივების პოექტებს.

კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს სხდომაზე მოახდინა მის მიერ მერის სახელზე წერილობითი ფორმით შემუშავებული ინიციატივების პროექტების გაცნობა და წაკითხვა, უპასუხა საბჭოს წევრთა შეკითხვებს.

კახაბერ გუჩმანიძის მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი ინიციატივები / წინადადებები :

1. ქ.ბათუმის ერთერთ ძველ უბანში სანიმუშო მონაკვეთისთვის პირვანდელი ლანდ - შაფტური ეირსახის აღდგენის ესკიზური რენდერის შემუშავება - წარდგენა ქ.ბათუმის მერისთვის.
2. ექსკლუზიური გამწვანებითი ფორუმის მოწყობის პროექტის წარდგენა ქ.ბათუმის მერისთვის. (,,მწვანე ფორუმი'')
3. ინოვაციური პროექტის ,,ქალაქის მერების ფონდის'' ჩამოყალიბებისა და გალა-ღონისძიების ექსკლუზიურად ბათუმში გამართვის ინიცირება ქ.ბათუმის მერთან. (პროექტი -,,წლის მერი'')
4. ინოვაციური პროექტის ,, გაისეირნე მერთან ერთად '' (,,walk with mayor '') ინიცირება ქ.ბათუმის მერთან.

საბჭოს დამსწრე წევრებმა ცალ-ცალკე უყარეს კინჭი კახაბერ გუჩმანიძის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს და ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საბჭომ თანხმობა მისცა კახაბერ გუჩმანიძეს და მხარი დაუჭირა წინანდადებების ქ.ბათუმის მერისთვის წარდგენის საკითხს.~

მერის სახელზე შესაბამისი წერილების მომზადება - მიწოდება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

საბჭოს სხდომაზე დამსწრე სტუმარმა - თეა ჯანღავამ (ქ.ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი) სიტყა სთხოვა სხდომის თავმჯდომარეს. თეა ჯანჯრავამ საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს აცნობა, რომ საკრებულოსთან შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო და შესთავაზა ქ.ბათუმის მერის მრჩეველთა საბჭოს თავისი რიგებიდან კანდიდატურის დასახელება. საბჭოს წევრებმა წამოაყენეს თავმჯდომარის - კახაბერ გუჩმანიძის -კანდიდატურა საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრად.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა კახაბერ გუჩმანიძის კანდიდატურას.

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებოლოსთვის შესაბამისი წერილის მიწოდება ასევე ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

საბჭომ ასევე იმსჯელა საბჭოს სხდომების მოწვევის პერიოდულობაზეც, წამოყენებული იქნა სხვადასხვა წინადადება, მათ შორის მისაღები აღმოჩნდა თამაზ თურმანიძის წინადადება - მიმდინარე წელს (ნოემბერ-დეკემბერის თვისთვის) საბჭოს სხდომები გაიმართოს ყოველი თვის პირველ და მესამე ხუთშაბათს 17:30 სთ-ზე. (გრაფიკი : 01 ნოემბერი / 15 ნოემბერი / 06 დეკემბერი / 20 დეკემბერი) ხოლო ოქტომბერში საბჭოს სხდომის მოწვევის თაობაზე ინფორ-მაცია საბჭოს წევრებს მიაწოდოს საბჭოს თავმჯდომარემ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა თმაზ თურმანიძის წინადადებას.

მერის სახელზე შესაბამისი წერილის მომზადება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მსჯელობის შემდეგ სხდომა დასრულებუ - ლად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

მარიამ ბურკენაძე